Diploma Programme
Programme du diplôme
Programa del Diploma

Georgian A: literature – Standard level – Paper 1
Géorgien A : littérature – Niveau moyen – Épreuve 1
Georgiano A: literatura – Nivel medio – Prueba 1

Wednesday 4 May 2016 (afternoon)
Mercredi 4 mai 2016 (après-midi)
Miércoles 4 de mayo de 2016 (tarde)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

Instructions to candidates

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a guided literary analysis on one passage only. In your answer you must address both of the guiding questions provided.
- The maximum mark for this examination paper is **[20 marks]**.

Instructions destinées aux candidats

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez une analyse littéraire dirigée d'un seul des passages. Les deux questions d'orientation fournies doivent être traitées dans votre réponse.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est de **[20 points]**.

Instrucciones para los alumnos

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un análisis literario guiado sobre un solo pasaje. Debe abordar las dos preguntas de orientación en su respuesta.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es **[20 puntos]**.

2216 – 0543

© International Baccalaureate Organization 2016

International Baccalaureate
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

https://xtremepape.rs/

დაწერეთ **ერთ-ერთი** ტექსტის ლიტერატურული კომენტარი. თქვენს პასუხში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ორივე მითითების მოთხოვნა.

1.

ვუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის
თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას

[…]

იმ ზამთარს ბოლშევიკებიც მოვიდნენ. მალე სოფელში გამოჩნდა ტანთხელი, ცოცხალი სახით ბიჭი, კომუჯრედის მდივანი. დადიოდა და იწერდა, ვინც
5 წერა-კითხვა არ იცოდა. პატარა ქვრივამდეც მიაღწია. არც იმან იცოდა არაფერი, მაგრამ სკოლაში სიარულზე მაინც უარი თქვა. კომუჯრედის მდივანი არ მოეშვა. დღე არ გავიდოდა, ღობის ზემოდან არ გადმოენათებინა თავისი ცოცხალი სახით. მეზობლებმა სხვა სუნი დაიკრეს ამ შეხვედრებში. ადგა ბიჭი, ბარბალეს ხელი მოჰკიდა, საბჭოში წაიყვანა და სამი მოწმის თანდასწრებით ცოლქმრობის საბუთი
10 გააფორმებინა.

[…]

ეყოლათ ბიჭი, მერე კიდევ ბიჭი, მერე ქალი. ქვიტკირის სახლი დაიდგეს, სწორი კრამიტით გადახურეს. კომუჯრედის მდივანი ახლა უკვე კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო, ძველი ყაიდის თავჯდომარე. კოლწევრების გვერდით იდგა ხოლმე ტალახით სავსე რუში, სიმინდის სათოხარში, სამკალში, ტყეში. გამაგრდა და
15 გაკაჟდა. დაკუნთული მხრები ძლივს ეტეოდა ხალათში. მოვიდნენ ერთ საღამოს ვიღაც ფორმისტანსაცმლიანი კაცები, წაიყვანეს. თავჯდომარეს ეცინებოდა: რაღაც გაუგებრობაა, ჩემთან ვის რა ხელი აქვს, ხვალვე გაირკვევა ყველაფერი და გადმოვალო. თან მაინც რაღაც უჩვეულო ნერვიულობით იკრავდა ბრტყელ ქამარს (ეს დაამახსოვრდა ბარბალეს საყვარელი ადამიანის ამ ქყვეყანაზე არსებობის
20 უკანასკნელი წუთებიდან). მეორე დღეს არ გადმოსულა… არც მესამე დღეს, არც მეოთხე დღეს.

[…]

მერე თოვლშიც მოუხდა რამდენჯერმე გადასვლა. მერე უკან დაუბრუნეს საჭმელი, შენი ქმარი გადაგზავნილიაო. იმ დღიდან აღარაფერი გაუგია მისი.

გადაყოლილი იყო ბავშვებზე. თვითონ დაჰქონდა საფქვავი წისქვილში, თვითონ
25 ჭრიდა შეშას, თვითონ თოხნიდა – ოღონდ თქვენ ისწავლეთ და მე თქვენი არა მინდა რაო. ისინიც სწავლობდნენ. კარგად სწავლობდნენ. უფროსი ბიჭი უმაღლესში შევიდა. ვეტექიმი უნდა გამოსულიყო. ატყდა ომი. უფროსი ბიჭი მაშინვე წაიყვანეს. უმცროსი პირველ მობილიზაციაში არ მოხვდა, მაგრამ მერე ისიც წაიყვანეს. უფროსი დაბრუნდა, უმცროსი დაიღუპა. ახლა ქალიც უმაღლესში სწავლობდა, ვაჟმაც
30 ისევ იქ გააგრძელა სწავლა, ვეტერინარულზე. გაეგო ქალაქის გზაზე ბარბალე. უზიდავდა ხურჯინით ხორცს, ლობიოს, ფქვილს, ხილს. ქალი გათხოვდა. ვაჟმაც ცოლი მოიყვანა. ეყოლათ შვილები. ერთიც და მეორეც ქალაქს შერჩნენ. ხან ქალი წამოუშვებდა ცრემლს, ხან – რძალი: რა იქნება, თავწყალი ვერ გაგვიდევნებია, ბავშვების პატრონები ვართ, ჩამოდი და იყავი ჩვენთანო. დარჩებოდა ერთი სამიოდე
35 დღე, გაუსივდებოდა გული, ასტკივდებოდა თავი, გაუკრთებოდა ძილი. აკრავდა თავის ბარგიბარხანას და წამოვიდოდა უკან. წკირებით, ღობისძირებში მოკრეფილი ნამტვრევნუმტვრევით აანთებდა გაცივებულ ღუმელს, ეზოს დაგვიდა, ბაღჩას დაასუფთავებდა. ბარავდა, სხლავდა, თოხნიდა. მოჰყავდა ჭირნახული. თვითონ რა სჭირდებოდა! ყველაფერს შვილებს უგზავნიდა, ზოგს – ფულად, ზოგს – ზამთრის
40 სარჩოდ, მარცვალს არაფერს გააფუჭებდა, ყველაფერს გამოიყენებდა…

https://xtremepape.rs/

ვენახის ბოლოზე ერთი წაფერდებული კაკალი ედგა. მადლიან კაკალს ეძახდნენ, ყოველ წელიწადს ხვინჭასავით ეყარა. ხან ვის აბერტყინებდა, ხან – ვის! მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან გაძნელდა დამბერტყავის შოვნა. სოფელში კაცი აღარ იყო ამ საქმის მიმყოლი. თუ ვინმე ჭაჭანებდა, იმასაც კუდი ყავარზე ჰქონდა გადებული. რომ შეეხვეწებოდა, წამო, შვილო, შენს გახარებას, ერთი ის ჩემი წაფერდებული კაკალი ჩამომიბერტყეო, ყველა ამას ეკითხებოდა: შენი ბიჭი სად არის, რატომ ის არ ბერტყავსო? – ქალაქშია, შვილო, მსახურობს, არა სცალიაო. – ჩვენ რაღა მოცლილები გვნახეო!...

წამოვიდოდა გულმოკლული: ჩემი ბიჭის მჭვლები დაგადგეთ თქვენაო. ამოუჯდებოდა გული, იტირებდა. მერე ისევ ყოჩაღად იყო, მტრის თვალების დასათხრელად. მტრის თვალების დასათხრელადვე აიღო ერთხელ ხალხა და კაკალზე თვითონ გავიდა. მე დავბერტყავ და მტერს არ გავახარებო. ორჯერ არ ჰქონდა მოქნეული ის ხალხა და წინ წავარდა. რამეს მოვეჭიდებიო, გაუელვა, მაგრამ ვერაფერს მისწვდა. იგრძნო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ შემთხვევით მოჰკრა თვალი. გეგონებოდათ, მყუდროზე მიწოლილა და ისე მისძინებიაო.

შვილებმა მეორე დღეს ძლივს გაიგეს მისი ამბავი. დიდი პატივით დაკრძალეს, სახლს მძიმე კლიტეები დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩალაბულით აავსო.

რევაზ ინანიშვილი, *შორი თეთრი მწვერვალი* “სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა” (2012)

(a) იმსჯელეთ მონაკვეთში გადმოცემული ადამიანური ღირებულებების შესახებ.

(b) იმსჯელეთ, რა მხატვრულ – გამომსახველობითი საშუალებებია გამოყენებული ნაწყვეტში მთავარი გმირის ხასიათის შესაქმნელად.

https://xtremepape.rs/

2.

პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვა მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები,
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

5 არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.
დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
10 და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“,
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი ტვინი ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
15 რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად,
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
20 აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს.
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასატანია.

პაოლო იაშვილი, *ჩემი რჩეული* (2012)

(a) იმსჯელეთ, როგორ იხატება მოცემულ ტექსტში პოეტის სახე (ყურადღება მიაქციეთ, რა განაპირობებს ტექსტში ასახულ ტრაგიზმს).

(b) იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს პოეტი ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

https://xtremepape.rs/